საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

**საქართველოს კომუნიკაიციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევნების კენჭისყრის ოქმი**

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 16 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლისა და კომისიის 2014 წლის 7 მაისის N238/22 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცესი დაიწყო 2014 წლის 19 მაისის 18:00 საათზე;

კომისიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულ კანდიდატთა ოდენობა – 1 (ერთი) – კომისიის წევრი ვახტანგ აბაშიძე;

საარჩევნო ყუთი საჯაროდ დაილუქა 2014 წლის 19 მაისის 18:00 საათზე;
კენჭისყრაში მონაწილე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხუთივე წევრზე ფიზიკურად გაიცა საარჩევნო ბიულეტენი, სულ – 5 (ხუთი);

კენჭისყრა დასრულდა 2014 წლის 19 მაისის 18:12 საათზე;

საარჩევნო ყუთი გაიხსნა 2014 წლის 19 მაისის 18:15 საათზე;
საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 (ხუთი) ბიულეტენი;

ვახტანგ აბაშიძის კომისიის თავმჯდომარედ არჩევას, მხარი დაუჭირა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხუთივე წევრმა;
არც ერთი ბიულეტინი არ გაფუჭებულა;

კენჭისყრის შედეგად დაფიქსირდა, რომ კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ვახტანგ აბაშიძემ მიიღო 5 ხმა და არჩეულ იქნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ.
ოქმი წარედგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და გამოქვეყნდეს კომისიის ვებგვერდზე ინტერნეტში დაუყოვნებლივ.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე: /ი. ხარებავა/
წევრი: /თ. ტყემელაშვილი/
მდივანი: /ვ. ყურაშვილი/

*თბილისი, 19.05.2014. 18:20 საათი*